



**2018 წლის 17 დეკემბრის  
სსიპ საქართველოს ადვოკატთა  
ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს  
სხდომის ოქმი**

**სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:**

თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. N33

სხდომის დაწყების დრო: 19:00

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე),  
ციცინო ცხვედიანი, ზურაბ როსტიაშვილი, ტარიელ კაკაბაძე, მარიამ კუბლაშვილი,  
გიორგი თევზაძე, ნათია კორკოტაძე, გიორგი ტურაზაშვილი, დათუნა მოდებაძე.

**დღის წესრიგი**

**საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება**

**საბჭოს წევრები გაეცნენ გასაწევრიანებელ პირთა განცხადებებს:**

კოპალიანი ლევან, გოგლიძე ბადრი, სირაძე კონსტანტინე, ბაგაშვილი ნინო, ყანდიაშვილი ხატია, გველესიანი დავით, აბაშიძე გრიგოლ, ფერიაშვილი ალექსანდრე, ცალუღელაშვილი ვახტანგ, ჟვანია ირაკლი, მორგომია ქრისტინე, გუმბერიძე დავითი, ქოიავა ნინო, ბეგიაშვილი ხვიჩა, ხიზანაძე დავით, მისაბიშვილი თამარ, კობახიძე ოლიკო, ხუნაშვილი ბექა, ვერძაძე ჯანსუღ, ფიფია ირაკლი, კობერიძე თამარი, ფოცხვერაშვილი ალექსანდრე, კლდიაშვილი ლაშა, ხახანაშვილი ანი, ჭითაშვილი თენგიზ, ცაცუა კონსტანტინე, კაკალია ივანე, კალანდაძე ანა, გურასპაშვილი ზურაბ, რევიშვილი თორნიკე, ყიყინაშვილი მარტა, ლევიშვილი კახაბერი, ხმალაძე ალექსანდრე, მახარაძე თინათინ, ხუციშვილი თეონა, გიორგაძე თეა, კაპანაძე მალხაზ, შვანგირაძე დავით, გამდლიშვილი ლიანა, მუსტაფაევი ფაიგ, კაპანაძე დავით, მუკბანიანი გიორგი, მარმანია ირაკლი, მუჯირი გიორგი, ქომოშვილი მამუკა, გოგიბერიძე კობა, უბერი მარიამ, ხუციშვილი იოსებ, ფხაკაძე ზვიად, სვანიძე კახაბერ, კიკნაძე ლია, კორძია ლუკა,

ჩოგოვაძე ივანე, დოლიძე ლანა, წეროძე ანა, ჩხაბერიძე ლელა, ასათიანი ნინო, აბაშიძე სალომე, კერვალიშვილი ნანა, სართანია ქრისტინე, თხელიძე ბესიკ, ნოზაძე ზვიად, ქედელიძე ომარ, გიუნაშვილი ნათია, მელანაშვილი ლილი, რაზმიანაშვილი ნინო, ბრეგვაძე ირაკლი, ჩხეიძე ია, სამხარაძე ზურაბ, ბაღდასაროვი გენადი, მოდებაძე ხათუნა, სანდოძე ოთარი, მირიანაშვილი გუგა, სუხაშვილი გურამ, ჯაბანიშვილი ინგა, ალემანაშვილი გიორგი, ქვრივიშვილი ნინო, მანველიშვილი პეტრე, გაბოძე გიორგი, ლობჯანიძე ანა, ექიზაშვილი თეონა, ჭოჭუა გიორგი, გაბიტაშვილი გიორგი, გოგორიშვილი მიხეილ, ტყემელაშვილი შოთა, კვიციანიძე ანა, საცერაძე სალომე, ებრალიძე ეკატერინე, კაციტაძე კარლო, დავითური გიორგი, მორჩილაძე მანანა, კვირკველია სალომე, დიასამიძე ენვერ, ფარულავა გოჩა, რამინაშვილი სანდრო, კოკაია მარიამ, ომიადე ელენე, თოდუა ვაჟა, ეწიშვილი ბექა, სამხარაძე ანა, მიქაია გიორგი, კოჭლამაზაშვილი ბესიკ, სამხარაძე თათია, მებაღიშვილი ნიკოლოზ, ვასაძე მამუკა, არჩვაძე სოსო, დილავერიძე გულო, გუგუშვილი იმედა, გურგენიძე ჯაბა, კვინიკაძე თეონა, სონიშვილი შოთა, გორდულაძე გიორგი, როსტიაშვილი ნუგზარა, ალუღიშვილი ვანო, ქემელაშვილი ლეილა, ყიფიანი ია, ცერცვაძე ცოტნე, ბარაბაძე სოფიო, სამხარაძე ვასილ, ბადაშვილი გიორგი, ღვინჯილია ბესიკ, ონაშვილი ანა, ფარეიშვილი თეიმურაზი, კაპანაძე გიორგი, ჩუბინიძე გიორგი

საბჭოს წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზემოხსენებულ პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან. მსჯელობის შემდეგ, აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული **გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ზემოხსენებული განცხადებები გაწევრიანების შესახებ.**

**აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:**

(ა) **ბექა კოპალიანის** განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების სერთიფიკატი სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, რომელიც გაცემულია 2008 წლის 24 ნოემბერს და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურატურის მიერ გაცემული სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა ქალაქ თბილისის პროკურატურის საგამომიებო ნაწილის უფროსი გამომძიებლის პოზიციაზე მუშაობის შესახებ 2014 წლის 30 ოქტომბრიდან დღემდე - 2018 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით.

წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით ბექა კოპალიანის მიერ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან გასულია 10 წელი, თუმცა წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობით არ დასტურდება, რომ იგი დადგენილი წესით გაწევრებულა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ან გამწესდა მოსამართლედ ან პროკურორად, რაც „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნით ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებაზე პირისთვის უარის თქმის საფუძველია.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული **გადაწყვეტილება**:

1. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად არ დაკმაყოფილდეს ბექა კოპალიანის განცხადება გაწევრიანების თაობაზე;
2. განმცხადებელს წერილობით ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების და მისი გასაჩივრების წესის თაობაზე.

**(ბ) ირაკლი ცაგურიას** განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების სერთიფიკატი სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, რომელიც გაცემულია 2006 წლის 21 მაისს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობის შესახებ 2005 წლის 7 თებერვლიდან დღემდე - 2018 წლის 12 დეკემბრის მდგომარეობით.

წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით ირაკლი ცაგურიას მიერ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან გასულია 10 წელი, თუმცა წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობით არ დასტურდება, რომ იგი დადგენილი წესით გაწევრებულა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ან გამწესდა მოსამართლედ ან პროკურორად, რაც „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნით ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებაზე პირისთვის უარის თქმის საფუძველია.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული **გადაწყვეტილება**:

1. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად არ დაკმაყოფილდეს ირაკლი ცაგურიას განცხადება გაწევრიანების თაობაზე;
2. განმცხადებელს წერილობით ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების და მისი გასაჩივრების წესის თაობაზე.

**(გ) ლაშა ტუხაშვილის** განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების სერთიფიკატი სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, რომელიც გაცემულია 2006 წლის 28 ნოემბერს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობის შესახებ 2007 წლის 17 სექტემბრიდან დღემდე - 2018 წლის 12 დეკემბრის მდგომარეობით.

წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით ლაშა ტუხაშვილის მიერ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან გასულია

10 წელი, თუმცა წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობით არ დასტურდება, რომ იგი დადგენილი წესით გაწევრებულა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ან გამწესდა მოსამართლედ ან პროკურორად, რაც „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნით ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებაზე პირისთვის უარის თქმის საფუძველია.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული **გადაწყვეტილება:**

1. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად არ დაკმაყოფილდეს ლაშა ტუხაშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე;
2. განმცხადებელს წერილობით ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების და მისი გასაჩივრების წესის თაობაზე.

(დ) **ნინო ბატიაშვილის** განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების სერთიფიკატი სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, რომელიც გაცემულია 2008 წლის 24 ნოემბერს და ცნობა სამუშაო სტაჟის შესახებ გაცემული საქართველოს ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, საიდანაც დასტურდება, რომ ნინო ბატიაშვილი 2009 წლის პირველი ივნისიდან - 2018 წლის 9 ნოემბრის მდგომარეობით იკავებს სხვადასხვა პოზიციას ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერიაში და მისი მუშაობის საერთო სტაჟი შეადგენს 9 წელსა და 5 თვეს.

წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით ნინო ბატიაშვილის მიერ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან გასულია 10 წელი, თუმცა წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობით არ დასტურდება, რომ იგი დადგენილი წესით გაწევრებულა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ან გამწესდა მოსამართლედ ან პროკურორად, რაც „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნით ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებაზე პირისთვის უარის თქმის საფუძველია.

წევრები ასევე, გაეცნენ ნინო ბატიაშვილის მიერ წარმოდგენილ საავადმყოფო ფურცლის ასლს, საიდანაც დასტურდება, რომ ნინო ბატიაშვილი დიაგნოზით - ვირუსული ინფექცია, მწვავე ბრონქიტი (რეჟიმი - ამბულატორიული) იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე 2018 წლის 20 ნოემბრიდან - 2018 წლის 2 დეკემბრის ჩათვლით.

წევრებმა მიიჩნიეს, რომ წარმოდგენილი საავადმყოფო ფურცლით არ ფიქსირდება ისეთი დიაგნოზი ან/და ჯანმრთელობის მდგომარეობა, რაც მას ხელს შეუშლიდა თუნდაც სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებებით (ელ. ფოსტა) ან ფოსტით კანონმდებლობით

დადგენილ ვადაში მოემართა ადვოკატთა ასოციაციისთვის განაცხადით გაწვევრიანების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული **გადაწყვეტილება**:

1. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად არ დაკმაყოფილდეს ნინო ბატიაშვილის განცხადება გაწვევრიანების თაობაზე;
2. განმცხადებელს წერილობით ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების და მისი გასაჩივრების წესის თაობაზე.

(ე) ვაჟა გამეზარდაშვილის განცხადებას გაწვევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების სერთიფიკატი სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, რომელიც გაცემულია 2007 წლის 26 ნოემბერს, პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი, რომელიც გაცემულია 2003 წლის 25 იანვარს, შრომის წიგნაკი, სადაც მითითებულია რომ 2004 წლის 1-ლი სექტემბრიდან 2014 წლის 16 აგვისტომდე პერიოდში მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა პოზიციაზე, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურში სხვადასხვა პოზიციაზე და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურატურის მიერ გაცემული სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა ქალაქ თბილისის პროკურატურის საგამომიებო ნაწილის უფროს გამომძიებლად მუშაობის შესახებ 2014 წლის 16 აგვისტოდან დღემდე - 2018 წლის 12 დეკემბრის მდგომარეობით.

წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით ვაჟა გამეზარდაშვილის მიერ ადვოკატთა ან/და პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან გასულია 10 წელი, თუმცა წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტებით არ დასტურდება, რომ იგი დადგენილი წესით გაწვევრებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ან გამწესდა მოსამართლედ ან პროკურორად, რაც „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნით ადვოკატთა ასოციაციაში გაწვევრიანებაზე პირისთვის უარის თქმის საფუძველია.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული **გადაწყვეტილება**:

1. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად არ დაკმაყოფილდეს ვაჟა გამეზარდაშვილის განცხადება გაწვევრიანების თაობაზე;

## **2. განმცხადებელს წერილობით ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების და მისი გასაჩივრების წესის თაობაზე.**

(ვ) კახა კოტრიკაძეს განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი, რომელიც გაცემულია 2003 წლის 8 თებერვალს და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურატურის მიერ გაცემული სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა პროკურატურის საგამომიებო ნაწილის უფროს გამომძიებლად მუშაობის შესახებ 2012 წლის 17 დეკემბრიდან დღემდე - 2018 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით.

წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით კახა კოტრიკაძეს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან გასულია 10 წელი, თუმცა წარმოდგენილი სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტებით არ დასტურდება, რომ იგი დადგენილი წესით გაწევრებულა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ან გამწესდა მოსამართლედ ან პროკურორად, რაც „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნით ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებაზე პირისთვის უარის თქმის საფუძველია.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად არ დაკმაყოფილდეს კახა კოტრიკაძეს განცხადება გაწევრიანების თაობაზე;
2. განმცხადებელს წერილობით ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების და მისი გასაჩივრების წესის თაობაზე.

## **საკითხი 2. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა**

წევრები გაეცნენ ადვოკატთა შესახებ კანონის 21<sup>2</sup> მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ შემდეგ განცხადებებს:

ცერცვაძე ცოტნე, ბარაბაძე სოფიო, სამხარაძე ვასილ, შაიშმელაშვილი გია, კვარაცხელია გიორგი, ნაჭყეაძე თეიმურაზ, გუგუშვილი იმედა, გაბიტაშვილი გიორგი, მღებრიშვილი მარინა, არჩვაძე სოსო, სანდოძე ოთარ, სუხაშვილი გურამ, აბულაძე ბაკურ, ალუღიშვილი ვანო, ქეშელაშვილი ლეილა, ყიფიანი ია, კაპანაძე მალხაზ, კაპანაძე დავით, ხუციშვილი თეონა, ქვრივიშვილი ნინო, მანველიშვილი პეტრე, გაბოძე გიორგი, კაპანაძე გიორგი, მოდებაძე ხათუნა, მირიანაშვილი გუგა, ფხალაძე დავით, გოგორიშვილი მიხეილ, ლეკიშვილი კახაბერ, ფარულავა გოჩა, ოშიაძე ელენე, ფიფია ირაკლი, ნოზაძე ზვიად, შვანგირაძე დავით, გამდლიშვილი ლიანა, შანიძე ხატია, ხმალაძე ალექსანდრე, მახარაძე თინათინ, თხელიძე

ბესიკ, ქედელიძე ომარ, ხუნაშვილი ბექა, ხუციშვილი იოსებ, კლდიაშვილი ლაშა, გურასპაშვილი ზურაბ, ცაცუა კონსტანტინე, სართანია ქრისტინე, ჩხაბერიძე ლელა, მისაბიშვილი თამარ, ხიზანაიძე დავით, ბეგიაშვილი ხვიჩა, დიასამიძე ენვერ, ვასაძე მამუკა, ბადაშვილი გიორგი, ცალუღელაშვილი ვახტანგ, კოპალიანი ლევან, გოგლიძე ბადრი, გველესიანი დავით, ყანდიაშვილი ხატია, კობერიძე თამარი, ფერიაშვილი ალექსანდრე, ბაგაშვილი ნინო, გოგიბერიძე კობა, სვანიძე კახაბერ, წეროძე ანა, სამხარაძე ანა, მიქაია გიორგი, კოჭლამაზაშვილი ბესიკ, სამხარაძე თათია, მუსტაფაევი ფაეგ, სირაძე კონსტანტინე, სამხარაძე ზურაბ, წერეთელი ლევან, ჩაკვეტაძე რატი, ფოცხვერაშვილი ალექსანდრე, კაკალია ივანე, ჟვანია ირაკლი, ხახანაშვილი ანი, ონაშვილი ანა, ფხაკაძე ზვიად, ბოჭორიშვილი შავლეგ, გაბელაია კობა, მუჯირი გიორგი, ქომოშვილი მამუკა, ეჟიშვილი ბექა, ივანიშვილი მარიამ, თოდუა ვაჟა, გუმბერიძე დავით, ჭითაშვილი თენგიზ, რევიშვილი თორნიკე, კალანდაძე ანა, მორგოშია ქრისტინე, ტუსკია ნინო, გიორგაძე თეა, მჭედელიძე თორნიკე, აღლემაშვილი გიორგი, კაციტაძე კარლო, ტყემელაშვილი შოთა, კვიციანიძე ანა, ჯაბანიშვილი ინგა, ბრეგვაძე ირაკლი, ბაღდასაროვი გენადი, კვიციანელი სალომე, გურგენიძე ჯაბა, გოგოლაძე ელისაბედ, დავითური გიორგი, მიმისტარიშვილი ნათია, შვანგირაძე გვანცა, ყურაშვილი ლია, ყიციანიშვილი მარტა, დავით ფხალაძე.

**აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:** „ადვოკატთა შესახებ“ კანონის, 21<sup>2</sup> მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ზემოთ ჩამოთვლილ პირთა განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ.

### **საკითხი 3. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება**

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების მსურველი პირების იაკობი ზეიკიძეს და დავით ფხალაძეს განცხადებებს. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზემოხსენებული პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია საქართველოს კანონის „ადვოკატთა“ შესახებ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

**მსჯელობის შემდეგ, აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:**

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი იაკობი ზეიკიძისა და დავით ფხალაძეს განცხადებები.

**საკითხი 4.** „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების შესაბამისად, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებაში შესატანი ცვლილებების განხილვა ეთიკის კომისიის წევრებთან ერთად.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ ვინაიდან აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით აღნიშნულ საკითხზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებაში შესატანი ცვლილებების განხილვა მომხდარიყო ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრებთან ერთად მათი მოსაზრებებისა და რეკომენდაციების გაზიარების მიზნით, სხდომას მოწვეული სტუმრის სტატუსით ესწრებიან ასოციაციის ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - თორნიკე ბაქრაძე და წევრები - კონსტანტინე გელაშვილი, ირაკლი კორძაბია, ქეთევან უტიაშვილი და ინგა სეხნიაშვილი.

ასოციაციის თავმჯდომარემ აღმასრულებელი საბჭოსა და ეთიკის კომისიის წევრებს გააცნო ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებაში შესატანი ცვლილებების პროექტი და განმარტა, რომ პროექტი მოიცავს მხოლოდ იმ ცვლილებებს რაც გამომდინარეობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებებიდან და რომელიც დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს ასოციაციის 23 დეკემბრის წევრთა საერთო კრებას.

თავმჯდომარემ ასევე, ყურადღება გაამახვილა ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე განთავსებულ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებებში ადვოკატების პერსონალური მონაცემების ახლებურად დამუშავების წესზე. მისი განმარტებით, მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, რამდენიმე წელია, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებები სახდელდადებული ადვოკატების სახელის, გვარისა და სიითი ნომრის მითითებით ქვეყნდება ასოციაციის ვებ-გვერდზე და აღნიშნულის განთავსება ხდებოდა განუსაზღვრელი ვადით, რაც არ შეესაბამებოდა არც პირის პერსონალური მონაცემების დაცვის და არც ადვოკატის პროფესიული საქმიანობის თავისუფლად და შეუზღუდავად განხორციელების ინტერესებს. წარმოდგენილი ცვლილებების თანახმად კი, მოცემული ინფორმაციის გასაჯაროება უვადოდ განთავსების ნაცვლად, დისციპლინური პასუხისმგებლობის სახის შესაბამისად, კონკრეტული ვადებით იქნებოდა შემოსაზღვრული და აღნიშნული ვადების გასვლის შემდეგ ვებ-გვერდზე განთავსებულ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებებში ადვოკატის სახელი, გვარი, სიითი ნომერი დაიფარებოდა (დაიშტრიხებოდა) და არ იქნებოდა უვადოდ ხელმისაწვდომი მესამე პირებისათვის.

აღნიშნულ საკითხზე მოსაზრებები გამოთქვეს როგორც ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ და დამსწრე ყველა წევრმა, ასევე, აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა - დათუნა მოდებამემ, ციციხოველიანმა და გიორგი ტურაზაშვილმა.

**მსჯელობის შემდეგ აღნიშნულ საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე. კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:**

ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებაში შესატანი ცვლილებების პროექტი, სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი #1) წარედგინოს ასოციაციის 2018 წლის 23 დეკემბრის წევრთა საერთო კრებას.



**საკითხი 5. ასოციაციის საერთო კრების რეგლამენტის დამტკიცება.**

თავმჯდომარემ წევრებს გააცნო ადვოკატთა ასოციაციის 2018 წლის 23 დეკემბრის წევრთა საერთო კრების რეგლამენტის პროექტი. წევრები გაეცნენ წარმოდგენილ პროექტს. განსხვავებული მოსაზრებები არ გამოთქმულა.

აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე და კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

**დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის 2018 წლის 23 დეკემბრის წევრთა საერთო კრების რეგლამენტი სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი #2).**

**აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.**

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: [www.gba.ge](http://www.gba.ge)

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

**დავით ასათიანი**

**სსიპ საქართველოს ადვოკატთა  
ასოციაციის თავმჯდომარე**